ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 150

"22" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (დელისის ქუჩის მიმდებარედ ს/კ №01.10.15.007.098 გათვალისწინებული 765კვმ მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 11 მაისის №5/26863 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისში, დელისის ქუჩის მიმდებარედ არსებული 765 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.10.15.007.098), შემდგომში მისი პირდაპირი მიყიდვის ფორმით მოქალაქე ლელი კეკელიძისთვის (პ/ნ №01026006102) სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის მიზნით, იმ პირობთ, რომ №01.10.15.007.098 საკადასტრო ერთეულზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში აღნიშნული პირი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცემს ქ. თბილისში, კრწანისის ქ.N12ა-ში მდებარე 388 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (ს/კ №01.18.06.015.033) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, ასევე გადასაცემი და მისაღები უძრავი ნივთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არსებობის შემთხვევაში, სხვაობის თანხა უნდა ჩაირიცხოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, №01.10.15.007.098 საკადასტრო ერთეულზე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი